309
24.05.11

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო"-ს

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს მოქმედი კანონმდებლობისა და შპს "სიონი-მ"ის შესყიდვების წლიური გეგმის გათვალისწინებით გაფორმებული იყო ხელშეკრულებები "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", კომპანიის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილებს მოწოდებასა და მომსახურებაზე (ხელშეკრულებები თან ერთვის).

მიმდინარე წელის 20 მაისს კომპანიაში შემოვიდა წერილები სადაც შპს „რადა სერვისი" როგორც მომწოდებელი გვაცნობებს არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოშობილი სირთულეების შესახებ და გვთხოვს, შემდგომში უთანხმოების თავიდან აცილების მიზნით, გავითვალისწინოდ წერილში დასმული საკითხი **(წერილი თან ერთვის).**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს შემოსული წერილის დანართებში, არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა, ვინაიდან ყოველდღიურად გვიხდება პატრულირება ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96[4] მუხლით, როგორც პირველადი წყალმოსარგებლისათვის მონიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, ასევე წყალმომხმარებლებთან არსებული ხელშეკრულებების პირობების ჯეროვნად შესრულებას მონიტორინგის მიზნით, ხოლო გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ღონისძიებების გატარება შეუძლებელია, გთხოვთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ„ ქვეპუნქტის საფუძველზე თქვენს თანხმობას შპს „რადა სერვისი"-ს წერილის დანართში აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტონაწილების მოწოდებასა და შეკეთების მომსახურება მოვახდინოთ ამავე მომწოდებელთან გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, რომლებიც შემდგომში წარმოდგენილი იქნებიან როგორც არსებულის ძირითადი საშუალებების განუყოფელ ნაწილად.

დირექტორი შალვა ქურდიანი

KA020250362439511

საქართველო

Georgia

სუჯარო სამართლის იურიდიული პირი
საწარმოთა მართვის სააგენტო

Legal Entity of Public law
Enterprise Managment Agency

0108 ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
№12 Chanturia str. Tbilisi, Georgia, 0108

ტელ.: (995 32) 17 64 85 / 17 64 83
Tel.: (995 32) 17 64 85 / 17 64 83

www.ema.gov.ge

№ 33/939

31 / მაისი / 2011 წ.

შპს "სიონი-მ"

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტომ" განიხილა თქვენი 24 მაისის №309 წერილი და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ-ის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი წერილის დანართებში აღნიშნული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული თქვენსა და შპს "რადა სერვისს" შორის დადებულ ხელშეკრულებაში (ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა) განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისად), კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას უნდა განხორციელდეს ამ თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში.

ამასთანავე განგიმარტავთ, რომ პასუხისმგებლობა კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სააგენტოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ხოჯევანიშვილი

შპს "სიონი-მ"
შემოსული კორესპ.
204524568
№ 137
31 05 2011